ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3755632

ნომერი: AR1565647

თარიღი : 18.12.2017

გაცემის თარიღი : 26.12.2017

გაცნობის თარიღი : 26.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ბუცხრიკიძე პ/ნ 01024013640
- ამბროლაურის 166, კორ9, ბ22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

-საჯარო რეესტრიდან ამონაწერში გარკვეულ ფართებზე ფიქსირდება სარგებლობები. იმ შემთხვევაში, თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება სარგებლობით გაცემულ ფართებს, წარმოადგინეთ მოსარგებლეების სათანადოდ დამოწმებული თანხმობები, ხოლო თუ არ ეხება განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში. ასევე, თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მოსარგებლეს, წარმოსადგენია სარგებლობისა და განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

-საპროექტო ფოტომონტაჟზე დაიტანეთ სარეკონსტრუქციო ფართის ფასადის წარმოსადხვითი ხაზები. იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო აბრის განთავსება ხდება ზედა სართულის ფართის ფასადზე წარმოადგინეთ ამონაწერი და მესაკუთრის შესაბამისად დამოწმებული თანხმობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

-გაითვალისიწნეთ, რომ „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად, დაიანგარიშეთ სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დაიტანეთ ფოტომონტაჟზე.

-აქვე გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევასი თუ კვლავ იგეგმება №1126072 გადაწყვეტილებით შეთანხმებული სამუშოების განხორციელება, საჭიროა ყველა სამუშო აისახოს საპროექტო ფოტომოტნაჟზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.